

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შეიცავს 31 დავალებას.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 35.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



თეორიული ნაწილი

დავალება 1

ჩამოთვლილთაგან რომელია მაიკროსოფტის დამფუძნებელი?

- (ა) ლარი პეიჯი
- (ბ) სტივ ჯობსი
- (გ) ბილ გეითსი
- (დ) მარკ ცუკერბერგი

დავალება 2

შემოკლება CMYK კომპიუტერულ ტექნოლოგიებში აღნიშნავს:

- (ა) კომპიუტერული ბიოსის (BIOS) ნაირსახეობას
- (ბ) კომპიუტერის მოდულურ მოდელს
- (გ) ფერთა წარმოდგენის მოდელს
- (დ) ჩამოთვლილთაგან არც ერთს


დავალება 3

Windows-ის რომელი კომპონენტით შეიძლება გაშვებული პროგრამების ჩამონათვალის ნახვა?

- (ა) Application manager
- (ბ) Process Manager
- (გ) Process viewer
- (დ) Task Manager

დავალება 4

მყარ დისკზე ფოლდერიდან ფოლდერში ფაილის „გადათრევისას“ ეს ფაილი საწყის ფოლდერში წაიშლება და ახალში ჩაიწერება (გადატანა). გადათრევის პროცესში რომელი კლავიშის დაჭერა გამოიწვევს ფაილის გადატანის ნაცვლად მის კოპირებას?

- (ა) Alt
- (ბ) Ctrl
- (გ) Shift
- (დ) Win ( კლავიში)

დავალება 5

ტერმინი „საქაღალდის (folder) დაარქივება“ ნიშნავს:

- (ა) საქაღალდის გადატანას დაარქივებული ფაილებისთვის დისკზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილას
- (ბ) ამ საქაღალდისთვის სპეციალური archive თვისების დაყენებას
- (გ) საქაღალდისგან რომელიმე სპეციალური პროგრამით ე. წ. არქივის ფაილის შექმნას
- (დ) საქაღალდის recycle bin-ში გადატანას

დავალება 6

ე. წ. „სპელჩეკერი“ (Spell Checker) აფიქსირებს:

- (ა) მყარი დისკის ზედაპირზე დაზიანებულ ბლოკებს
- (ბ) მთავრულ ასოებს წინადადების დასაწყისში
- (გ) კომპიუტერის მეხსიერების შეცდომებს
- (დ) შეცდომებს მართლწერაში

დავალება 7

შემდეგი ტიპის ფაილებიდან არქივირებისას რომელი შემცირდება ზომაში ყველაზე ნაკლებად?

- (ა) BMP
- (ბ) JPG
- (გ) TXT
- (დ) XLS

დავალება 8

Google Chrome გაშვებისას აჩვენებს:

- (ა) ახალ ცარიელ გვერდს
- (ბ) გუგლის საძიებო გვერდს
- (გ) გვერდ(ებ)ს, რომელიც გახსნილი იყო პროგრამის დახურვისას
- (დ) შეიძლება იყოს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილიდან, Google Chrome-ის კონფიგურაციის მიხედვით

დავალება 9

Windows-ში ფაილის წაშლისას ეს ფაილი (თუ ფაილის ზომა არაა ძალიან დიდი) მოთავსდება ე. წ. სანაგვე ყუთში (Recycle bin). რა მოხდება, თუ ფაილის წაშლისას დილაკ Del-თან ერთად დავაჭერთ Shift-ს?

- (ა) ფაილი ჩვეულებრივად წაიშლება და გადავა სანაგვე ყუთში
- (ბ) ფაილი წაიშლება, მაგრამ არ გადავა სანაგვე ყუთში
- (გ) ამოვარდება შეტყობინება შეცდომის შესახებ
- (დ) ფაილი არ წაიშლება

დავალება 10

დრავერებს IT ტექნოლოგიებში უწოდებენ პროგრამებს, რომლებიც გამოიყენება:

- (ა) სხვადასხვა მოწყობილობის თვითმართვის სისტემაზე (ავტოპილოტი) გადასაცვანად
- (ბ) Google drive-ში ფაილების ჩაწერა/წასაკითხად
- (გ) სხვადასხვა კომპიუტერული მოწყობილობის (მაგ.: ვიდეობარათი, პრინტერი) სამართავად
- (დ) ოპტიკური დისკების (CD, DVD) წასაკითხად

დავალება 11

ვიდეოხარატი (video card) მეხსიერება:

- (ა) ყოველთვის სპეციალური მეხსიერებაა, რომელიც მხოლოდ ვიდეოპროცესორმა შეიძლება გამოიყენოს
- (ბ) ყოველთვის ნაწილია კომპიუტერის ოპერატიული მეხსიერებისა
- (გ) შეიძლება იყოს როგორც ვიდეოპროცესორის სპეციალური მეხსიერება, ასევე, ოპერატიული მეხსიერების ნაწილი
- (დ) სპეციალური ვიდეომეხსიერებაა, რომელიც მყარი დისკის ნაწილს იკავებს

დავალება 12

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ლექტოპის ბატარეის ტევადობის საზომი ერთეული?

- (ა) ვოლტამპერი
- (ბ) ვოლტ/საათი
- (გ) ამპერსაათი
- (დ) ამპერი/წმ²

დავალება 13

როგორი ტიპის ფონტებს იყენებს Windows-ი?

- (ა) True Type Fonts
- (ბ) Smart Type Fonts
- (გ) Closed Type Fonts
- (დ) Full Type Fonts

დავალება 14

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება რიცხვის ჩანაწერს სამობით სისტემაში?

- (ა) 201
- (ბ) 302
- (გ) 220
- (დ) 102

დავალება 15

რომელი სიმბოლოს გამოყენებაა დაუშვებელი ფაილის სახელში (ვინდოუსში)?

(ა) - (დეფისი)

(ბ) . (წერტილი)

(გ) _ (ქვედა დეფისი - underscore)

(დ) \ (დახრილი ხაზი)

დავალება 16

COM პორტს კომპიუტერში უწოდებენ:

- (ა) კომუტაციის პორტს
- (ბ) კომუნიკაციის პორტს
- (გ) კომპოზიტურ პორტს
- (დ) კომპონენტურ პორტს

დავალება 17

რომელი შემოკლება შეესაბამება კომპიუტერულ ქსელებში კომუნიკაციის პროტოკოლს?

- (ა) CCP/IP
- (ბ) TCP/PI
- (გ) TCP/IP
- (დ) CCP/PI

დავალება 18

MP3 წარმოადგენს:

- (ა) გრაფიკული გამოსახულების შეკუმშულ ფორმატს
- (ბ) მედიაფლეიერის ერთ-ერთ ვერსიას
- (გ) აუდიოს კოდირების ფორმატს
- (დ) მესამე თაობის მოდემს

დავალება 19

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, კომპილატორი გამოიყენება:

- (ა) კომპიუტერულ ენებში
- (ბ) ბუფერში ინფორმაციის მოსახვედრად
- (გ) მონაცემთა არქივირების სისტემებში
- (დ) მონაცემთა დამუშავების სისტემებში

დავალება 20

შემოკლება LAN აღნიშნავს:

- (ა) კომპიუტერულ ქსელს
- (ბ) ქსელურ პროტოკოლს
- (გ) ქსელურ მოწყობილობას
- (დ) საერთაშორისო ქსელს

დავალება 21

რომელი ტექნოლოგია არ გამოიყენება ეკრანების დასამზადებლად?

- (ა) LCD
- (ბ) Blue-laser
- (გ) OLED
- (დ) Plasma

დავალება 22

რა არის Clipboard-ი?

- (ა) კლიპების რედაქტირების პროგრამა
- (ბ) კლიპების კატალოგიზაციის პროგრამა
- (გ) მეხსიერება, სადაც ინახება კოპირებული ინფორმაცია
- (დ) პროგრამა, რომელიც დესკტოპზე ნოუთების შექმნის საშუალებას იძლევა

დავალება 23

ნახევრად-დუბლექსი (half-duplex) მონაცემთა გადაცემისას ნიშნავს, რომ:

- (ა) მონაცემთა მიმოცვლა დროითი ინტერვალის მხოლოდ ნახევარში ხდება
- (ბ) მონაცემთა გადაცემა და მიღება მონაცვლეობით ხდება
- (გ) მონაცემთა გადაცემა და მიღება პარალელურად ხდება
- (დ) მონაცემთა გადაცემა ცალმხრივად ხდება

დავალება 24

ჩამოთვლილთაგან რომელი მოწყობილობის საშუალებით შეიძლება გამოსახულების გადატანა ქაღალდიდან კომპიუტერში გრაფიკული ფაილის სახით?

- (ა) პრინტერის
- (ბ) სკანერის
- (გ) რიდერის
- (დ) პლოტერის

დავალება 25

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფერების კომბინირებით მიიღება კომპიუტერულ მონიტორებში ასახული ყველა ფერი?

- (ა) წითელი – თეთრი – შავი
- (ბ) წითელი – ყვითელი – ლურჯი
- (გ) წითელი – მწვანე – ლურჯი
- (დ) წითელი – მწვანე – ყვითელი

დავალება 26

HTTP არის:

- (ა) მონაცემთა გაცვლის პროტოკოლი
- (ბ) კომპიუტერის მოწყობილობათა თავსებადობის პროტოკოლი
- (გ) პროგრამის ავტომატური განახლების მეთოდი
- (დ) კლიენტების ინტერნეტთან დაშვების ფორმატი

დავალება 27

DDR3 არის:

- (ა) ოპერატიული მეხსიერების ტიპი
- (ბ) ანტივირუსული პაკეტი
- (გ) ქსელური პროტოკოლის სტანდარტი
- (დ) მეხსიერების ტიპი, რომელიც არ არის დამოკიდებული ელექტროენერგიაზე

დავალება 28

ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპით მუშაობს ოპტიკური მაუსი?

- (ა) ოპტიკური სენსორი „კითხულობს“ მის ქვეშ არსებულ ზედაპირს და X და Y კოორდინატების ცვლილების შესახებ ინფორმაციას გზავნის კომპიუტერში
- (ბ) ოპტიკური სენსორი „იჭერს“ მაუსის გადაადგილებით გამოწვეულ ინერციის ძალებს და ამის მიხედვით საზღვრავს X და Y კოორდინატების მდებარეობას
- (გ) ოპტიკური სენსორი X და Y ღერძებთან დაკავშირებული მოძრავი ბურთულიდან აგროვებს ინფორმაციას ინფრაწითელი სხივების რაოდენობაზე და ამის მიხედვით გზავნის იმპულსებს კომპიუტერში
- (დ) ოპტიკური სენსორი რადიოსიხშირის ტალღების გამოყენებით იღებს ინფორმაციას კოორდინატების შესახებ და უგზავნის X და Y ღერძებთან დაკავშირებულ ჩიპს

დავალება 29

მაქსიმალური ქულა - 2

განმარტეთ, რას ნიშნავს ფაილის ტორენტით (torrent) გადმოწერა.

ელ-ფოსტა დღეისათვის ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალებაა და ინტენსიურად გამოიყენება. თუმცა, ელფოსტის სხვადასხვა სერვისი გასაგზავნ წერილებს და მათზე მიმაგრებულ ფაილებს გარკვეულ შეზღუდვებს ადებს.

აღწერეთ ნებისმიერი ორი შეზღუდვა, რომელთა მიზეზითაც მომხმარებელმა შეიძლება ვერ მოახერხოს სასურველი მასალის ელ-ფოსტით გაგზავნა.

დავალება 31

მაქსიმალური ქულა - 3

როდესაც კომპიუტერის ხარისხზე, მის ავ-კარგიანობაზეა საუბარი, ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად მისი მუშაობის სიჩქარე აღინიშნება.

- დაასახელეთ მინიმუმ ორი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია კომპიუტერის მუშაობის სიჩქარე.
- ახსენით, რატომ უწყობს ხელს კომპიუტერის სწრაფ მუშაობას თქვენ მიერ დასახელებული ფაქტორები.